დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგების შესახებ

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დამკვეთი: აიპ„ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი "

დასკვნის თარიღი: 2023 წლის 28 თებერვალი

საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2023 წლის 22 თებერვლის №14 ხელშეკრულება

თბილისი
2024

აიპ "ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი"

სარჩევი	
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
საბალანსო უწყისი	6
მოგება-ზარალის უწყისი	8
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	10
ახალგაზდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი	11
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	12
დასკვნის ბოლო გვერდი	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აიპ „ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთის " მენეჯმენტს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ (ა)აიპ „ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთის" სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, რაც მოიცავს: აღნიშნული თარიღით დამთავრებულ საბალანსო უწყისს, მოგება-ზარალის უწყისს, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისს, ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისისს, ხელმძღვანელობის მიმოხილვას, ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, რომელიც შედგება მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან,

ჩვენი მოსაზრებით აიპ „ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი " -ის თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს „კლუბის" ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აიპ „ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთთან" 2024 წლის 22 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენ გვევალებოდა მოსაზრება ჩამოგვეყალიბებინა და გამოგვეცა დასკვნა იმ ანგარიშგების შესახებ , რომლიც შეეხება „კლუბის" მიერ მომზადებულ ფინანსური ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრისათვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის -„აიპ ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, ასევე შევასრულეთ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში , ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

ასევე ავღნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი შეეხება წარმოდგენილ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წარდგენის მიზნით და გათვალისწინებულია ფედერაციის მოთხოვნები. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შესაძლებელია არ იყოს შესაფერისი სხვა მiზინებისათვის.

ხელმძღვანელობისა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო ზომის კომპანიების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების **(IFRS for SME)** შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს (ა)აიპ „ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი " ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კლუბის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კლუბის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კლუბის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან როდესაც ამის აუცილებლობა დგება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აიპ„ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი " ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

აუდიტი დაიგეგმა და განხორციელდა აიპ„ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი" ხელმძღვანელობასა და შპს ,,აუდიტი XXI" შორის, 2024 წლის 28 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების შემოწმების მიზნით აუდიტორული მომსახურების გაწევას, აუდიტის ჩატარებისას ვხელმძღვანელობდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული პროცედურებით, ასევე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2023 წლის კლუბების ლიცენზირების დებულების მოთხოვნებით, ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვართ დამოუკიდებლები კლუბისგან, არ გაგვაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვით, მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. მოპოვებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით განვახორციელეთ პროფესიული განსჯა და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნება იმ საკითხებთან დაკავშირებით რაც მოიცავს: შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას, შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოხატვას, გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შეფასებას, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასებას, კლუბის საქმიანობის უწყვეტობის უნარის შეფასებას და თუ დავასკვნით ,რომ ადგილი არა აქვს არსებით განუსაზღვრელობას, აახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამ გარემოებაზე და მოვახდინოთ დასკვის მოდიფიცირება.

ჩვენი დასკვნა ეფუძვნება აუდიტორული დასკნის გამოცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს, შესაძლოა შემდგომში წარმოშობილმა მოვლენებმა აიძულოს კლუბი, შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც კლუბმა.

ჩვენ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებასა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

-

შპს „აუდიტი XXI“ გარიგების პარტნიორი/აუდიტორი: ეთერი გოგია

თბილისი, კრწანისის 16/1

28,02,2024 წ

ბალანსი

მოგება-ზარალის უწყისი

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი

ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შესავალი

ზოგადი ინფორმაცია:

„ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი " შემდგომში „კლუბი", არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 13 ივნისს , პირის იურიდიული მისამართი და საქმინაობის ძირითადი ადგილია ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ 185, კლუბის დამფუძვნებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი ხობის მუნიციპალიტეტი (244688600), „კლუბის" ხელმძღვანელია ბორისი ბერაია (პ/ნ 58001000690). „ კლუბის" ძირითადი საქმიანობაა საფეხბურთო საქმიანობა.
„კლუბი" 2023 წელს ასპარეზობდა ეროვნულ ლიგა 2-ში

„კლუბის" მიზნები დ5 ამოცანებია

ქალაქ ხობის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება, უეფას ეგიდით ჩატარებულ სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის მიღება, ასევე სხვა სახის ტურნირებში მონაწილეობის მიღება.

„კლუბის" მართვის ორგანოა:

საფეხბურთო კლუბის მართვის უმაღლესი ორგანოა ქალაქ ხობის მუნიციპალიტეტის სახელით -ქალაქ ხობის მუნიციპალიტეტის მერი

წარდგენის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „კლუბის "მიერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წარდგენის მიზნით, გათვალიწინებულია ფედერაციის მოთხოვნები, გათვალისწინებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კლუბების ლიცეზირების 2023 წლის დებულების მოთხოვნის პრინციპები

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

სააღრიცხვო პოლიტიკა

„კლუბი“ ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გათვალისწინებით.

ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგების მომზადება ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამა „ერთიგონის“ მეშვეობით.

ანგარიშგება ძირითადად აკმაყოფილებს ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“), მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების აღიარების, წარდგენის მოთხოვნის პრინციპებს.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკითა და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირადობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით ანგარიშგების შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კლუბის ხელმძღვანელობას გაანალიზებული აქვს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის ქვეყანაში შექმნილი მაკრო ეკონომიკური გარემო, ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგობებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს საზოგადოებასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს.

„კლუბი“ თავის ოპერაციებში ფუნქციონირებად ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კლუბი იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების, დებიტორული დავალიანებების, ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო ხარჯები, ფინანსური ინსტრუმენტების ბალანსში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც კლუბი გახდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტების ნაწილის აღიარება წყდება მაშინ, როდესაც კლუბი კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს, ან დაფარავს ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

ძირითადი და არამატერიალური აქტივები

ნაყიდი და ნაწარმოები ძირითადი საშუალებების შემოსავალში აღება და შეფასება ხდება თვითღირებულებით: რომელიც მოიცავს: ნაყიდობის ფასს, დაბრუნებად გადასახადებს, ადგილამდე ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება საანგარიშგებო წლის ბოლოს მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

„კლუბის"არამატერიალური აქტივებს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამისა და ვებ-გვერდების შეძენის ხარჯი და მისი ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციების შესაბამისად.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, როდესაც მოხდა მისი გამომუშავება, მიუხედავად იმისა, მის სანაცვლოდ მიღებულია თუ არა ფულადი სახსრები ან სხვა ეკონომიკური სახის კომპენსაცია კლუბის შემოსავლებს შეადგენს სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან, სპონსორებისაგან, უეფას სოლიდარობის ფონდიდან.

შემოსავლების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა ხდება წმინდა ღირებულებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა.

შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება წყაროების მიხედვით, ხარჯები კი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგება და მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გარდავადებული გადასახდის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახადელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის ყოველთვიურ დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახდო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახადო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას, ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებული საგადასახდო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არაა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახადო მოგების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახდო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში. გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც სავარაუდოდ გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც პირი მოელის გადავადებული საგადასახაო აქტივის გამოყენებას, ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების დაფარვას

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი

	31.12.2022	31.12.2023
ფულადი სახსრები სალაროში	0	0
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	3 991	26 858
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	3 991	26 858

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებით. „კლუბს“ სასაქონლო-მატერიალური მარაგების სახით ერიცხება:

დასახელება	31.12.2022 წ	31.12.2023 წ
მცირე ფასიანი აქტივები	41 517	41 957
სხვა მარაგები	7 489	13 509
სულ	49 006	55 466

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებით (პირვანდელ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი).

	31.12.2022 წ	31.12.2023 წ
ძირითადი საშუალებები	9 643	5 128
სხვა არამატერიალური აქტივები	6 008	8 000
სულ	15 651	13 128

ვალდებულებები

ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

	31,12,2022	31,12 ,2023
ადმინისტრაციის მიმართ დავალიანება	0	0
მწვრთნელების და ფეხბურთელების მიმართ დავალიანება	0	0
სულ	0	0

დასტურდება თანამშრომელთა და ფეხბურთელთა ხელმოწერებით

სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	31.12 .2022	31.12.2023
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0
ვალდებულებები თაამშრომელთა მიმართ	0	0
სულ	0	0

საგადასახადო ვალდებულებები

	31,12 ,2022	31,12 ,2023
საშემოსავლო გადასახადი	0	0

საოციალური გადასახადი	0	0
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	0	0

შემოსავალი	ფულად ერთეულში
სუბსიდიები, თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან	1 306 498
სპონსორები	295 000
ფეხბურთის განვითარების ფონდი	0
უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	28 200
სულ შემოსავალი	1 629 698

2023 წლის მიღებული ერთობლივი შემოსავალი შეადგენდა 1 629 698 ლარს.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივები წარმოადგენს მომავალში მოგების გადასახადის შემცირების შედეგად მოსალოდნელი სარგებლის საგადასახადო შედეგებს. საზოგადოებას არა აქვს ნაღიარები გადავადებული საგადასახადო აქტივებისათვის შეფასების რეზერვი, რადგან წარსული წლებისა და სამომავლო პროგნოზის საფუძველზე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მომავალში იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შესაძლებელი იქნება სამომავლო მოგების გადასახადის განსაზღვრისას მისი გამოქვითვა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები და შესაბამისობები

აიპ „ხობის საფეხბურთო კოლხეთი " საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით არის დადგენილი გადასახადების გადამხდელი.

აიპ „ხობის საფეხბურთო კოლხეთი ძირითადი საქმიანობის მიხედვით არ არის მოგების გადასახადის და ქონების გადასახადის გადამხდელი, ხოლო განაცემების მიხედვით არის საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი.

საშემოსავლო გადასახადი

აიპ „ხობის საფეხბურთო კოლხეთის „ მიერ გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემები;

აიპ „ხობის საფეხბურთო კოლხეთი“ ხელფასისა და მასთან გათანაბრებული განაცემების სახით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 967 218 ლარს. რაც დეკლარირებულია და საშემოსავლო გადასახადი გადახდილია შესაბამისად.

მოგების გადასახადი

აიპ „ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი” მოგების გადასახადის გადამხდელია ესტონური მოდელის მიხედვით, აღნიშნულ გადასახადს კლუბი გადაიხდის ამ მოდელით დაბეგვრის მომენტის დადგომისას.

ქონების გადასახადი

აიპ „ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი“ 2023 წლის მონაცემებით არ არის ქონების გადასახადის გადამხდელი.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

აიპ „ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთის“ ხელმძღვანელობა მუდმივად აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სამომავლო აქტივებსა და ვალდებულებებზე, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე მოსალოდნელი მოვლენებზე აკეთებს შესაბამის პროგნოზებს.

თავდაპირველი აღიარება

ხელმძღვანელობა აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან, ბასს 39 მიხედვით:, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულებით, შეესაბამება თუ არა აღნიშნული ტრანზაქცია საბაზრო ღირებულებას , ან თუ არ შეესაბამება, მაშინ როცა აღნიშნული ტრანზაქციისათვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის დასადგენად აიპ „ხობის საფეხბურთო კლუბი კოლხეთის ხელმძღვანელობა აკეთებს შეფასებას, ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ: სიმძლავრეს და ფიზიკურ მდგომარეობას, ტექნიკურ მხარეს, გამოყენების ვადას, კომერციულ გამოყენებას და ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგძლივობა.

საკრედიტო რისკი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს რისკს, რითაც შეიძლება ფინანსური ზარალი მიადგეს კლუბს, ხელმძღვანელობა რისკის შესამცირებლად ცდილობს ურთიერთობა ჰქოდეს კრდიტუნარიან კრედიტორებთან,

სამართალწარმოება

2023 წლის 12 თვეში კლუბს სასამართლო დავებთან მიმართებაში საქმის წარმოება არ უფიქსირდება

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ სხვა არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, კლუბი ჩვეულებრივად განაგძნობს საქმიანობას.

დირექტორი

მთ.ბუღალტერი: